

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 013/16¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ ლეკიშვილი (სტუდენტი)

შეკითხვა: თუ კლიენტმა სისხლის სამართლის საქმეზე ჯერ კიდევ საგამომიებო ორგანოში მოწმედ დაკითხვის დროს მოითხოვა ადვოკატთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა და საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება, ხოლო ადვოკატი არ დააბრუნებს გადახდილ ჰონორარს, ამ შემთხვევაში, რამდენად ეთიკურად მოიქცევა იგი?

ანალიზი: ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში (აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი). მნიშვნელოვანია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადებისას რამდენად არსებობდა ადვოკატსა და კლიენტებს შორის ჰონორარის გადახდის ეტაპებსა და წესსზე შეთანხმება. ადვოკატი ვალდებულია დაუბრუნოს კლიენტს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მისთვის გადაცემული თანხის არა მთლიანი ნაწილი, არამედ, დაუბრუნოს ის თანხა, რომელიც უნდა მიეღო იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობა გაგრძელდებოდა და განაგრძობდა საადვოკატო მომსახურებას.

დასკვნა:

ადვოკატს შეუძლია გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო. გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნებაზე უარის თქმა არაეთიკურია.

¹ <https://gba.ge/pdf/5c91e3319e6eb.pdf/10%20May%202016%20013.16.pdf>